

დანართი №1

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

<p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტი</p> <p>2006 წლის 24 ოქტომბრის ევროკომისიის 2006/86/EC დირექტივა, რომლითაც სრულდება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/23/EC დირექტივა, რომელიც ეხება მიკვლევადობის მოთხოვნებსა და შეტყობინებებს სერიოზული არასასურველი რეაქციებისა და შემთხვევების შესახებ და ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების კოდირების, დამუშავების, კონსერვაციის, შენახვისა და განაწილების გარკვეულ ტექნიკურ მოთხოვნებს</p>		<p>საქართველოს ნორმატიული აქტის/აქტების პროექტი/პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი/აქტები, არსებობის შემთხვევაში:</p> <p>№1. „მედიცინის დახმარებით რეპროდუქციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი.</p> <p>შესაბამისობა: სშ - სრულად შესაბამისი ნშ - ნაწილობრივ შესაბამისი შ - შეუსაბამო ას - არასავალდებულო</p>				
1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	№	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები
1	1. წინამდებარე დირექტივა გავრცელდება ქვემოთ მოცემულის კოდირებაზე,	№1	1.1	1. ეს კანონი არეგულირებს მედიცინის დახმარებით რეპროდუქციასთან	ნშ	2006/86/EC დირექტივის პირველი მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ, პირველი

<p>დამუშავებაზე, პრეზერვაციაზე, შენახვასა და განაწილებაზე:</p> <p>(a) ადამიანის მიმართ გამოყენებისათვის განკუთვნილ ადამიანის ქსოვილებსა და უჯრედებზე; და</p> <p>(b) ადამიანის მიმართ გამოყენებისათვის განკუთვნილი ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედებისგან მიღებულ წარმოებულ პროდუქტებზე, როდესაც აღნიშნული პროდუქტები დაფარული არ არის სხვა დირექტივებით.</p> <p>2. წინამდებარე დირექტივის მე-5-მე-9 მუხლების დანაწესები მიკვლევადობისა და სერიოზული უარყოფითი რეაქციებისა და მოვლენების თაობაზე ანგარიშგების შესახებ ასევე გავრცელდება ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების დონაციაზე, მოპოვებასა და გამოკვლევაზე.</p>	<p>№1</p>	<p>4.1</p>	<p>დაკავშირებულ საქმიანობებთან, მეთოდებთან, პროცედურებთან, პირობებთან და ვადებთან, აგრეთვე დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ტიპებთან, სამედიცინო ტექნოლოგიების დახმარებით რეპროდუქციის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის უფლებასთან და მედიცინის დახმარებით რეპროდუქციის სფეროში არსებულ სხვა სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებს.</p> <p>1. მდრ-თან დაკავშირებული საქმიანობის სახეებია: პოტენციური მშობლის/მშობლების, დონორების, გესტაციური სუროგატის ტესტირება, შერჩევა, მათი (გარდა გესტაციური სუროგატისა) რეპროდუქციული უჯრედების დონაცია, მოპოვება, ტესტირება, დამუშავება, ემბრიონის შექმნა, ინ ვიტრო პირობებში კულტივაცია, ბიოფსია, გენეტიკური ტესტირება, გენეტიკური უჯრედის ან/და ემბრიონის კრიოპრეზერვაცია, შენახვა, განაწილება, სპერმის</p>	<p>მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიკვლევადობისა და სერიოზული გვერდითი მოვლენებისა და სერიოზული გვერდითი რეაქციების თაობაზე ანგარიშგების შესახებ დირექტივის ნორმები განაწილება როგორც კანონპროექტში, ისე სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში. გარდა ამისა, 2006/86/EC დირექტივის პირველი მუხლით გათვალისწინებული საკითხები, გარდა „მედიცინის დახმარებით რეპროდუქციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა, ასახული იქნება „ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების გამოყენების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში და თანმდევ საკანონმდებლო პაკეტში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში (№07-2/278/10; 26.04.2023).</p>
---	-----------	------------	---	--

				<p>ტესტირება, დამუშავება და განაწილება, ქალის (მათ შორის, გესტაციური სუროგატის) ორგანიზმში გადატანა დაუყოვნებლივ ან სამომავლოდ ორსულობის მიღების მიზნით. მდრ-სთან დაკავშირებული საქმიანობის სხვა სახეებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.</p>	
		№1	30.1	<p>1. მდრ-ის განმახორციელებელმა დაწესებულებამ/ბანკმა უნდა უზრუნველყოს ყველა მოპოვებული, დამუშავებული, შენახული და განაწილებული რეპროდუქციული ქსოვილების, უჯრედების და ემბრიონების, ასევე, მათ შესახებ შესაბამისი მონაცემებისა და მათთან კონტაქტში მყოფი მასალების მიკვლევადობის შესაძლებლობა დონორიდან რეციპიენტამდე და პირიქით.</p>	
		№1	30.6	<p>6. დეტალური მოთხოვნები მიკვლევადობისა და ეტიკეტირებისადმი, ასევე, შესაბამისი პროცედურები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.</p>	

		№1	29.1	<p>1. მდრ-ის განმახორციელებელ დაწესებულებაში/ბანკში უნდა არსებობდეს იმ სერიოზული გვერდითი მოვლენებისა და სერიოზული გვერდითი რეაქციების მონიტორინგის, გამოკვლევისა და ანგარიშგების ეფექტური და დამოწმებული სისტემა, რომელთაც შესაძლებელია გავლენა მოახდინონ რეპროდუქციული ქსოვილებისა და უჯრედების და ემბრიონების ხარისხსა და უსაფრთხოებაზე და რომლებიც შესაძლებელია უკავშირდებოდეს მათ მოპოვებას, ტესტირებას, დამუშავებას, შენახვასა და განაწილებას, ასევე, ნებისმიერი სერიოზული გვერდითი რეაქციებისათვის, რომელიც გამოვლინდება ქსოვილების/უჯრედების კლინიკური გამოყენების დროს ან მის შემდეგ, და რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს რეპროდუქციული ქსოვილების და უჯრედების და ემბრიონების ხარისხსა და უსაფრთხოებასთან.</p>	
--	--	----	------	---	--

		№1	29.6	6. სერიოზული გვერდითი მოვლენების და სერიოზული გვერდითი რეაქციების მონიტორინგის, გამოკვლევის, შეტყობინებისა და დოკუმენტირების წესი განისაზღვრება ამ კანონის 30-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.		
		№1	39.2. „თ“	2. მინისტრმა 2024 წლის 1 იანვრამდე გამოსცეს: თ) ამ კანონის 30-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანება მიკვლევადობისადმი და ეტიკეტირებისადმი მოთხოვნებისა და შესაბამისი პროცედურების განსაზღვრის შესახებ;		
2	წინამდებარე დირექტივის მიზნებისათვის, ვრცელდება შემდეგი განმარტებანი: (ა) „რეპროდუქციული უჯრედები“ ნიშნავს ყველა ქსოვილსა და უჯრედს, რომელიც განკუთვნილია დამხმარე რეპროდუქციის მიზნებისათვის გამოსაყენებლად;	№1	3.1. „ზ“	1. ამ კანონის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა: ზ) რეპროდუქციული უჯრედები - ყველა ქსოვილი და უჯრედი, რომლებიც გამოყენებული იქნება რეპროდუქციის მიზნით დრტ-ის გამოყენებისას;	ნშ	2006/86/EC დირექტივის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ტერმინებიდან კანონპროექტში აისახება „რეპროდუქციული უჯრედების“, „პარტნიორული დონაციის“, „ხარისხის სისტემის“, „სტანდარტული ოპერაციული პროცედურების“, „ვალიდაციის (დამოწმების)“ და „მიკვლევადობის“ ტერმინები. რაც შეეხება დანარჩენ ტერმინებს, ისინი

<p>(b) „პარტნიორის დონაცია“ ნიშნავს რეპროდუქციული უჯრედების დონაციას ქალსა და მამაკაცს შორის, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ აქვთ ინტიმური ფიზიკური ურთიერთობა;</p> <p>(c) „ხარისხის სისტემა“ ნიშნავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, განსაზღვრულ პასუხისმგებლობებს, პროცედურებს, პროცესებსა და ხარისხის მართვის დანერგვისათვის [საჭირო] რესურსებს და მოიცავს ყველა მოქმედებას, რომელსაც წვლილი შეაქვს ხარისხში, პირდაპირ ან არაპირდაპირ;</p> <p>(d) „ხარისხის მართვა“ ნიშნავს ხარისხის მხრივ კოორდინირებულ მოქმედებებს ორგანიზაციის მართვისა და კონტროლი მიზნით;</p> <p>(e) „სტანდარტული საოპერაციო პროცედურები(SOP)“, ნიშნავს წერილობით ინსტრუქციებს, რომლებიც აღწერენ კონკრეტული პროცესის ეტაპებს, მათ შორის გამოსაყენებელ მასალებსა და მეთოდებს და მოსალოდნელ საბოლოო (გამიზნულ) პროდუქტს;</p> <p>(f) „ვალიდაცია (დამოწმება)“ (ან „კვალიფიკაცია“ აღჭურვილობის ან გარემოს შემთხვევაში) ნიშნავს დოკუმენტირებული მტკიცებულებების</p>	<p>№1</p> <p>№1</p>	<p>3.1. „ლ“</p> <p>3.1. „ც“- „ჭ“</p>	<p>1. ამ კანონის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>ლ) პარტნიორული დონაცია - რეპროდუქციული უჯრედების დონაცია მამაკაცსა და ქალს შორის, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ აქვთ ინტიმური ფიზიკური (სქესობრივი) ურთიერთობა;</p> <p>1. ამ კანონის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>ც) ხარისხის სისტემა - ორგანიზაციული სტრუქტურა, განსაზღვრული პასუხისმგებლობები, პროცედურები, პროცესები და ხარისხის მართვის დასაწარმოებლად საჭირო რესურსები, რომელიც მოიცავს ყველა იმ მოქმედებას, რომელსაც წვლილი შეაქვს ხარისხში, პირდაპირ ან არაპირდაპირ;</p> <p>დ) სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (შემდგომ - სოპ) - წერილობითი მითითებები, რომლებიც აღწერენ კონკრეტული პროცესის ეტაპებს, მათ შორის, გამოსაყენებელ მასალებსა და მეთოდებს და</p>	<p>აისახება მომავალში მისაღებ სათანადო სამართლებრივ (მათ შორის, კანონქვემდებარე ნორმატიულ) აქტებში.</p> <p>გარდა ამისა, 2006/86/EC დირექტივის მე-2 მუხლით გათვალისწინებული რიგი ტერმინებისა ასახული იქნება „ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების გამოყენების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში (№07-2/278/10; 26.04.2023).</p>
---	---------------------	--------------------------------------	---	---

<p>დადგენას, რომლებიც სანდოობის მაღალ ხარისხს იძლევა იმასთან დაკავშირებით, რომ კონკრეტული პროცესი, აღჭურვილობის ერთეული ან გარემო რეგულარულად აწარმოებს პროდუქტს, რომელიც დააკმაყოფილებს წინასწარგანსაზღვრულ სპეციფიკაციებსა და ხარისხობრივ მახასიათებლებს; პროცესი ვალიდირებული (დამოწმებული) უნდა იყოს სისტემის გამიზნული გამოყენების მხრივ ეფექტურობის შესაფასებლად;</p> <p>(გ) „მიკვლევადობა“ ნიშნავს ქსოვილის/უჯრედის აღმოჩენისა [ადგილმდებარეობის დადგენისა] და იდენტიფიცირების შესაძლებლობას, ნებისმიერი ეტაპის დროს, მიწოდებიდან დაწყებული, გადამუშავებით, გამოკვლევითა და შენახვით გაგრძელებული, რეციპიენტამდე ან განკარგვის მიზნით დისტრიბუციით დამთავრებული, რაც ასევე გულისხმობს დონორისა და ქსოვილის დაწესებულების ან მწარმოებელი საწარმოს იდენტიფიცირების შესაძლებლობას, რომელიც იღებს, ამუშავებს ან ინახავს ქსოვილს/უჯრედებს და ასევე შესაძლებლობას, იდენტიფიცირებულნი იყვნენ რეციპიენტ(ებ)ი სამედიცინო დაწესებულებაში/დაწესებულებებში, რომლებიც ქსოვილს/უჯრედებს</p>		<p>მოსალოდნელ საბოლოო პროდუქტს;</p> <p>წ) ვალიდაცია (დამოწმება) (ან „კვალიფიკაცია“ აღჭურვილობის ან გარემოს შემთხვევაში) - დოკუმენტირებული მტკიცებულების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტული პროცესის, სოპ-ის, აღჭურვილობის ნაწილის ან გარემოს მიერ წინასწარ განსაზღვრული სპეციფიკაციებისა და ხარისხობრივი მახასიათებლების შესაბამისი პროდუქტის თანამიმდევრულად წარმოების მაღალი ხარისხის გარანტიას. პროცესის ვალიდურობა ხორციელდება სისტემის დანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევაში მისი შედეგიანობის შესაფასებლად ეფექტურობის თვალსაზრისით;</p> <p>ჭ) მიკვლევადობა - ქსოვილების ან/და უჯრედების ადგილმდებარეობის დადგენისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობა ნებისმიერ ეტაპზე - მოპოვებიდან გამოყენებამდე/განაწილებამდე ან განკარგვამდე. აღნიშნული, ასევე, გულისხმობს დონორის, მდრ-ის</p>	
--	--	---	--

<p>რეციპიენტ(ებ)ის მიმართ იყენებენ; მიკვლევადობა ასევე მოიცავს შესაძლებლობას, აღმოჩენილი და დადგენილი იყოს ნებისმიერი რელევანტური ინფორმაცია იმ პროდუქტებთან და მასალებთან დაკავშირებით, რომლებიც კონტაქტში შედიან აღნიშნულ ქსოვილებთან/უჯრედებთან;</p> <p>(h) „კრიტიკული“ ნიშნავს პოტენციურად ხარისხზე ან/და უვნებლობაზე ეფექტს (ზეგავლენას) ან უჯრედებთან ან ქსოვილებთან კონტაქტის ქონას;</p> <p>(i) „მოპოვების ორგანიზაცია“ ნიშნავს ჯანდაცვის დაწესებულებას ან საავადმყოფოს ერთეულს ან სხვა ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების მიწოდებას და რომელიც შესაძლებელია არ იყოს აკრედიტებული, დასახელებული, ავტორიზებული ან ლიცენზირებული, როგორც ქსოვილის დაწესებულება;</p> <p>(j) “ადამიანის მიმართ გამოყენებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები“ ნიშნავს ჯანდაცვის დაწესებულებას ან საავადმყოფოს ერთეულს ან სხვა ორგანოს, რომელიც ადამიანის ქსოვილებსა და უჯრედებს იყენებს ადამიანების მიმართ.</p>	<p>№1</p>	<p>4.4</p>	<p>განმახორციელებელი დაწესებულების/ბანკის ან ქსოვილებთან ან/და უჯრედებთან დაკავშირებულ პროცედურებში ჩართული დაწესებულების დადგენას, ასევე, რეციპიენტის/ბენეფიციარის იდენტიფიცირებას სამედიცინო დაწესებულებაში/დაწესებულებებში, სადაც ქსოვილი/უჯრედები გამოიყენება; მიკვლევადობა ასევე მოიცავს იმ პროდუქტებსა და მასალებთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი მონაცემის ადგილმდებარეობის დადგენისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობას, რომელიც შეხებაშია ამ ქსოვილებთან /უჯრედებთან;</p> <p>4. კომპეტენტური უწყება, შესაბამის სამეცნიერო/პროფესიულ ორგანოებთან კონსულტაციის საფუძველზე, განსაზღვრავს მდრ-ის ეროვნულ სტანდარტებს და უზრუნველყოფს მის მუდმივ განახლებას სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესის შესაბამისად.</p>	
--	-----------	------------	---	--

<p>(k) „ერთიანი ევროპული კოდი“ ან „SEC“ ნიშნავს უნიკალური იდენტიფიკატორს, რომელიც გამოიყენება ევროკავშირში დისტრიბუტირებული ქსოვილებისა და უჯრედების მიმართ. ერთიანი ევროპული კოდი შედგება დონაციის საიდენტიფიკაციო თანმიმდევრობისა და პროდუქტის საიდენტიფიკაციო თანმიმდევრობისგან, როგორც აღნიშნული დაკონკრეტებულია ქვემოთ, წინამდებარე დირექტივის VII დანართში;</p> <p>(l) „დონაციის საიდენტიფიკაციო თანმიმდევრობა“ ნიშნავს ერთიანი ევროპული კოდის პირველ ნაწილს, რომელიც შედგება ევროკავშირის ქსოვილის დაწესებულების კოდისა და დონაციის უნიკალური ნომრისგან;</p> <p>(m) „ევროკავშირის ქსოვილის დაწესებულების კოდი“ ნიშნავს უნიკალურ იდენტიფიკატორს, ევროკავშირში აკრედიტებული, დასახელებული, ავტორიზებული ან ლიცენზირებული ქსოვილის დაწესებულებებისათვის. ქსოვილის დაწესებულების კოდი შედგება ქვეყნის ISO კოდისა და ქსოვილის დაწესებულების ნომრისგან, მითითებული ევროკავშირის ქსოვილის დაწესებულებების კომპენდიუმში, როგორც აღნიშნული</p>	<p>№1</p> <p>№1</p>	<p>4.5</p> <p>39.2. „ა“</p>	<p>5. მდრ-ის ეროვნული სტანდარტები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.</p> <p>2. მინისტრმა 2024 წლის 1 იანვრამდე გამოსცეს:</p> <p>ა) ამ კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანება მდრ-ის ეროვნული სტანდარტების განსაზღვრის შესახებ;</p>		
--	---------------------	---------------------------------	--	--	--

<p>დაკონკრეტებულია ქვემოთ, წინამდებარე დირექტივის VII დანართში;</p> <p>(n) „დონაციის უნიკალური ნომერი“ ნიშნავს უნიკალურ ნომერს, რომელიც მიენიჭება ქსოვილებისა და უჯრედების კონკრეტულ დონაციას, თითოეულ წევრ ქვეყანაში ასეთი ნომრების მინიჭებისათვის არსებული სისტემის შესაბამისად, როგორც აღნიშნული დაკონკრეტებულია ქვემოთ, წინამდებარე დირექტივის VII დანართში;</p> <p>(o) „პროდუქტის საიდენტიფიკაციო თანმიმდევრობა“ ნიშნავს ერთიანი ევროპული კოდის მეორე ნაწილს, რომელიც შედგება პროდუქტის კოდისგან, გამოყოფილი ნომრისა (<i>split number</i>) და ვარგისიანობის ვადისგან;</p> <p>(p) “პროდუქტის კოდი“ ნიშნავს კონკრეტული, რელევანტური ქსოვილისა და უჯრედის სპეციფიკური ტიპის აღმნიშვნელს (იდენტიფიკატორს). პროდუქტის კოდი შედგება პროდუქტის კოდირების სისტემის იდენტიფიკატორისგან, რომელსაც იყენებს ქსოვილის დაწესებულება ('E' EUTC-სათვის, 'A' ISBT128-სთვის, 'B' ევროკოდისათვის) და ქსოვილებისა და უჯრედების პროდუქტის ნომრისგან, რომელიც გათვალისწინებულია შესაბამისი კოდირების სისტემით</p>				
--	--	--	--	--

<p>პროდუქტის ტიპისათვის, როგორც აღნიშნული განმარტებულია ქვემოთ წინამდებარე დირექტივის VII დანართში;</p> <p>(q) „გამოყოფილი ნომერი (<i>split number</i>)“ ნიშნავს ნომერს, რომელიც განასხვავებს იმ ქსოვილებსა და უჯრედებს და ახდენს მათ უნიკალურ იდენტიფიკაციას, რომლებსაც აქვთ დონაციის ერთი და იგივე უნიკალური ნომერი და პროდუქტის იგივე კოდი და წარმოშობილნი არიან ერთი და იმავე ქსოვილის დაწესებულებიდან, როგორც აღნიშნული განმარტებულია ქვემოთ, წინამდებარე დირექტივის VII დანართში;</p> <p>(r) „ვარგისიანობის ვადა“ ნიშნავს თარიღს, რომლისთვისაც ქსოვილები და უჯრედები შესაძლებელია იყოს გამოყენებული, როგორც აღნიშნული განმარტებულია ქვემოთ წინამდებარე დირექტივის VII დანართში;</p> <p>(s) „ევროკავშირის კოდირების პლატფორმა“ ნიშნავს IT პლატფორმას, რომელსაც აწარმოებს ევროკომისია და რომელიც შეიცავს ევროკავშირის ქსოვილების დაწესებულებების კომპენდიუმს და ევროკავშირის ქსოვილისა და უჯრედების პროდუქტების კომპენდიუმს;</p>				
--	--	--	--	--

<p>(t) „ევროკავშირის ქსოვილის დაწესებულებების კომპენდიუმი“ ნიშნავს წვერი ქვეყნების კომპეტენტური ორგანოს ან ორგანოების მიერ ყველა ავტორიზებული, ლიცენზირებული, დასახელებული ან აკრედიტებული ქსოვილის დაწესებულებების რეესტრს, რომელიც შეიცავს ქსოვილის დაწესებულებების შესახებ ინფორმაციას, როგორც აღნიშნული მოცემულია წინამდებარე დირექტივის VIII დანართში;</p> <p>(u) „ევროკავშირის ქსოვილის დაწესებულებების კომპენდიუმი“ ნიშნავს წვერი ქვეყნების კომპეტენტური ორგანოს ან ორგანოების მიერ ყველა ავტორიზებული, ლიცენზირებული, დასახელებული ან აკრედიტებული ქსოვილის დაწესებულებების რეესტრს, რომელიც შეიცავს ქსოვილის დაწესებულებების შესახებ ინფორმაციას, როგორც აღნიშნული მოცემულია წინამდებარე დირექტივის VIII დანართში;</p> <p>(v) „EUTC“ ნიშნავს პროდუქტის კოდირების სისტემას ქსოვილებისა და უჯრედებისათვის, რომელიც შემუშავებულია ევროკავშირის მიერ და შედგება ევროკავშირში მიმოქცევაში არსებული ყველა ტიპის ქსოვილისა და</p>					
---	--	--	--	--	--

<p>უჯრედის რეესტრისა და მათი შესაბამისი პროდუქტის კოდებისგან;</p> <p>(w) „გაშვებული მიმოქცევაში“ ნიშნავს ადამიანის მიმართ გამოყენების მიზნით დისტრიბუციას ან გადაცემას სხვა ოპერატორისათვის, მაგალითად, შემდგომი გადამუშავების მიზნით, დაბრუნებით ან დაბრუნების გარეშე;</p> <p>(x) „იმავე ცენტრის ფარგლებში“ ნიშნავს, რომ ყველა ნაბიჯი მოპოვებიდან ადამიანის მიმართ გამოყენებამდე განხორციელებულია ერთი პასუხისმგებელი პირის, ხარისხის მართვისა და მიკვლევადობის სისტემის ქვეშ, ჯანდაცვის ცენტრში, რომელიც წარმოადგენს სულ მცირე აკრედიტებულ, დასახელებულ, ავტორიზებულ ან ლიცენზირებულ ქსოვილის დაწესებულებას და ორგანიზაციას, რომელიც პასუხისმგებელია იმავე ადგილზე ადამიანის მიმართ გამოყენებაზე;</p> <p>(y) „დაჯგუფება (<i>pooling</i>)“ ნიშნავს ერთი და იმავე დონორისგან ან ორი ან უფრო მეტი დონორისგან, ერთზე მეტ შემთხვევაში მოპოვებული ქსოვილებისა და უჯრედების ფიზიკურ კონტაქტს ან შერევას ერთ კონტეინერში.</p>					
---	--	--	--	--	--

3	ქსოვილის დაწესებულება უნდა აკმაყოფილებდეს I დანართით დადგენილ მოთხოვნებს.	№1	27	<p>1. მდრ-ის განმახორციელებელმა დაწესებულებამ/ზანკმა უნდა უზრუნველყოს საკუთარ დაწესებულებაში პასუხისმგებელი პირის არსებობა.</p> <p>2. პასუხისმგებელი პირი უნდა იყოს ექიმი-რეპროდუქტოლოგი ან სხვა სპეციალობის ექიმი, რომელსაც აქვს არანაკლებ ხუთი წლის მუშაობის გამოცდილება მდრ-ის სფეროში.</p> <p>3. პასუხისმგებელი პირის ვალდებულებაა:</p> <p>ა) უზრუნველყოს, რომ მდრ-თან დაკავშირებულ საქმიანობებში გამოყენებისათვის გამიზნული რეპროდუქციული უჯრედები, ქსოვილები და ემბრიონები მოპოვებულია, ტესტირებულია, დამუშავებულია, შენახულია და განაწილებულია ამ კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად;</p> <p>ბ) უზრუნველყოს, რომ გესტაციური სუროგატი აკმაყოფილებდეს ამ კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს;</p>	58	<p>2006/86/EC დირექტივის მე-3 გათვალისწინებული ნორმატიული მასალა განაწილება როგორც კანონპროექტში, ისე სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში. გარდა ამისა, 2006/86/EC დირექტივის მე-3 მუხლით გათვალისწინებული საკითხები, გარდა „მედიცინის დახმარებით რეპროდუქციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა, ასახული იქნება „ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების გამოყენების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში და თანმდევ საკანონმდებლო პაკეტში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში (№07-2/278/10; 26.04.2023).</p>
---	---	----	----	---	----	--

			<p>გ) დანერგოს პროცედურები, მდრ-თან დაკავშირებული საქმიანობების განხორციელებისათვის ლიცენზიის მოპოვების მიზნით;</p> <p>დ) შესაძლებლობა მისცეს კომპეტენტური უწყების ინსპექტორებს, ჩაატარონ ინსპექტირება მდრ-ის განმახორციელებელ დაწესებულებაში/ბანკში;</p> <p>ე) მდრ-ის განმახორციელებელი დაწესებულების/ბანკის საქმიანობების შესახებ ჩანაწერების წარმოება/შენახვა, ყოველწლიური ანგარიშგება, ასევე, კომპეტენტური უწყების მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, მდრ-თან დაკავშირებული საქმიანობების თაობაზე მისთვის ნებისმიერი სხვა ინფორმაციის მიწოდება;</p> <p>ვ) სერიოზული გვერდითი მოვლენების და რეაქციების მონიტორინგი, აღრიცხვა და ანგარიშგება;</p> <p>ზ) უზრუნველყოს, რომ დონორისა და გესტაციური სუროგატის შერჩევა და შეფასება და რეპროდუქციული უჯრედების მოპოვება განხორციელდეს ამ</p>	
--	--	--	---	--

			<p>კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების თანახმად;</p> <p>თ) მდრ-თ დაკავშირებული საქმიანობებისათვის ხარისხის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა;</p> <p>ი) პერსონალის უწყვეტი პროფესიული განათლების ღონისძიებების ორგანიზება/ ჩატარება;</p> <p>კ) რეპროდუქციული უჯრედების, ქსოვილებისა და ემბრიონების მიღების დოკუმენტირება;</p> <p>ლ) მესამე პირებთან ურთიერთობა.</p> <p>4. მდრ-ის განმახორციელებელი დაწესებულება/ბანკი ვალდებულია, კომპეტენტურ უწყებას მიაწოდოს ინფორმაცია პასუხისმგებელი პირის შესახებ (სახელი, გვარი, საკონტაქტო მონაცემები, მუშაობის დაწყების თარიღი), ასევე, მისი ცვლილების, მათ შორის, დროებითი ცვლილების, შემთხვევაში, დაუყოვნებლივ - შესაბამისი პირის ვინაობისა და პასუხისმგებელ პირად მისი დანიშვნის თარიღის შესახებ.</p>	
--	--	--	--	--

		№1	24	<p>5. მოთხოვნები ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირების მიმართ განისაზღვრება მდრ-ის განმახორციელებელი დაწესებულების/ბანკის სალიცენზიო პირობებითა და სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.</p> <p>1. მდრ-ის დაწესებულებამ/ბანკმა უნდა ჩამოაყალიბოს ხარისხის სისტემა და ამ სისტემის მართვის მექანიზმი, რომლებიც შესაბამისობაში იქნება „სამკურნალო საშუალებებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხარისხის ევროპული დირექტორატის სახელმძღვანელო პრინციპებთან“.</p> <p>2. ხარისხის სისტემა უნდა მოიცავდეს სულ მცირე სოპ-ებს, სახელმძღვანელო მითითებებს, სასწავლო სახელმძღვანელოებს, ფორმებს, ანგარიშებს, დონორების ჩანაწერებს, ინფორმაციას რეპროდუქციული უჯრედების, ქსოვილების და ემბრიონების საბოლოო დანიშნულების ადგილის შესახებ.</p> <p>3. ხარისხის სისტემასთან, მათ შორის, პერსონალთან,</p>	
--	--	----	----	--	--

				<p>მოწყობილობებთან და აღჭურვილობასთან დაკავშირებული მოთხოვნები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.</p>	
		№1	25.1	<p>1. მდრ-ის დაწესებულება/ბანკი შესაბამის მდრ-სთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე.</p>	
		№1	25.2	<p>2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობისთვის ლიცენზიას გაცემს შესაბამისი კომპეტენტური უწყება ამ კანონის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.</p>	
		№1	25.3	<p>3. ლიცენზიის გაცემის წესი და სალიცენზიო პირობები განისაზღვრება ან კანონით და ამ კანონისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.</p>	

		№1	25.6	<p>6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობისთვის ლიცენზიის მისაღებად, ლიცენზიის მაძიებელმა, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად, ლიცენზიის მისაღებად უნდა წარადგინოს წერილობითი ხელშეკრულება მესამე მხარესთან, როდესაც მესამე მხარე ახორციელებს საქმიანობებს, რომლებიც გავლენას ახდენენ რეპროდუქციული ქსოვილებისა და უჯრედების და ემბრიონების ხარისხსა და უსაფრთხოებაზე.</p>		
		№1	25.8	<p>8. შესაბამისი კომპეტენტური უწყება ლიცენზიას გასცემს, თუ დაკმაყოფილებული იქნება ამ კანონით, ამ კანონისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრული სალიცენზიო პირობები. ლიცენზიაში ზუსტად უნდა იყოს მითითებული მდრ-თან დაკავშირებული საქმიანობის სახეობა, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი მდრ-ის განმახორციელებელი</p>		

				დაწესებულება/ბანკი არის ლიცენზირებული.	
		№1	25. 10	10. ლიცენზიაში ცვლილების შეტანა ხორციელდება კანონით დადგენილი წესით. ლიცენზიის გამცემ კომპეტენტურ უწყებას უფლება აქვს გააუქმოს გაცემული ლიცენზია, თუ სალიცენზიო პირობების შესრულებაზე კონტროლის დონისძიებები ადასტურებს, რომ შესაბამისი დაწესებულება არ ასრულებს სალიცენზიო პირობებს და მას უკვე დაეკისრა პასუხისმგებლობა ჯარიმების სახით ამ კანონით და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.	
		№1	4.4	4. კომპეტენტური უწყება, შესაბამის სამეცნიერო/პროფესიულ ორგანოებთან კონსულტაციის საფუძველზე, განსაზღვრავს მდრ- ის ეროვნულ სტანდარტებს და უზრუნველყოფს მის მუდმივ განახლებას სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესის შესაბამისად.	

		№1	4.5	5. მდრ-ის ეროვნული სტანდარტები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.		
		№1	32	1. მდრ-ის განმახორციელებელმა დაწესებულებამ/ბანკმა უნდა დადოს წერილობითი ხელშეკრულება მესამე მხარესთან იმ საქმიანობის განსახორციელებლად, რომელიც გავლენას ახდენს ან შეიძლება გავლენა იქონიოს/მოახდინოს მესამე მხარესთან თანამშრომლობის ფარგლებში დამუშავებული რეპროდუქციული უჯრედების, ქსოვილებისა და ემბრიონების ხარისხსა და უსაფრთხოებაზე, კერძოდ: ა) მდრ-ის განმახორციელებელი დაწესებულება/ბანკი მესამე მხარეს ანდობს რეპროდუქციული უჯრედების, ქსოვილებისა და ემბრიონების დამუშავების ერთ-ერთ ეტაპს; ბ) მესამე მხარე მიაწოდებს საქონელსა და მომსახურებას (განაწილების ჩათვლით), რომლებიც გავლენას ახდენს რეპროდუქციული უჯრედების,		

			<p>ქსოვილებისა და ემბრიონების ხარისხსა და უსაფრთხოებაზე;</p> <p>გ) მდრ-ის განმახორციელებელი დაწესებულება/ბანკი მომსახურებას უწევს სხვა მდრ-ის განმახორციელებელ დაწესებულებას;</p> <p>დ) მდრ-ის განმახორციელებელი დაწესებულება/ბანკი ანაწილებს მესამე მხარის მიერ დამუშავებულ რეპროდუქციულ უჯრედებს, ქსოვილებსა და ემბრიონებს.</p> <p>2. მდრ-ის განმახორციელებელმა დაწესებულებამ/ბანკმა უნდა შეაფასოს და შეარჩიოს მესამე მხარე მისი კომპეტენციის საფუძველზე, ამ კანონისა და კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.</p> <p>3. მდრ-ის განმახორციელებელმა დაწესებულებამ/ბანკმა უნდა შეინახოს იმ ხელშეკრულებების სრული ჩამონათვალი, რომლებიც მათ მესამე მხარესთან (მხარეებთან) გააფორმეს.</p> <p>4. მდრ-ის განმახორციელებელ</p>	
--	--	--	---	--

				<p>დაწესებულებას/ბანკსა და მესამე მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებები განსაზღვრავს მესამე მხარის პასუხისმგებლობასა და თანამშრომლობის დეტალურ პროცედურებს.</p> <p>5. კომპეტენტური უწყების მოთხოვნით, მდრ-ის განმახორციელებელმა დაწესებულებამ/ბანკმა უნდა უზრუნველყოს მესამე პირთან დადებული ხელშეკრულებების ასლების წარდგენა.</p> <p>6. სერიოზული გვერდითი მოვლენების და სერიოზული გვერდითი რეაქციების მონიტორინგის, გამოკვლევის, შეტყობინებისა და დოკუმენტირების წესი განისაზღვრება ამ კანონის 30-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.</p> <p>1. მდრ-ის განმახორციელებელმა დაწესებულებამ/ბანკმა უნდა უზრუნველყოს ყველა მოპოვებული, დამუშავებული, შენახული და განაწილებული</p>	
		№1	29.6		
		№1	30.1		

				<p>რეპროდუქციული ქსოვილების, უჯრედების და ემბრიონების, ასევე, მათ შესახებ შესაბამისი მონაცემებისა და მათთან კონტაქტში მყოფი მასალების მიკვლევადობის შესაძლებლობა დონორიდან რეციპიენტამდე და პირიქით.</p>	
		№1	30.2	<p>2. რეპროდუქციული უჯრედების, ქსოვილებისა და ემბრიონების მიკვლევადობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდების სისტემის მეშვეობით, რომელიც ანიჭებს უნიკალურ კოდს თითოეულ მიწოდებულ და დონაციის შედეგად მიღებულ ყველა რეპროდუქციულ უჯრედს, ქსოვილსა და ემბრიონს.</p>	
		№1	30.5	<p>5. მდრ-ის განმახორციელებელმა დაწესებულებამ/ბანკმა უნდა შეინახოს რეპროდუქციული უჯრედების, ქსოვილებისა და ემბრიონების მიკვლევადობისათვის საჭირო ინფორმაცია მათი გამოყენებიდან 30 წლის განმავლობაში, წერილობით ან ელექტრონული ფორმით.</p>	

		№1	30.6	<p>6. დეტალური მოთხოვნები მიკვლევადობისა და ეტიკეტირებისადმი, ასევე, შესაბამისი პროცედურები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.</p>	
		№1	26	<p>1. მდრ-სთან დაკავშირებული საქმიანობების განმახორციელებელ პერსონალს უნდა ჰქონდეს საკუთარი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო, სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრული შესაბამისი განათლება (სპეციალობა).</p> <p>2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პერსონალს, აგრეთვე, მდრ-ის განმახორციელებელი დაწესებულების/ბანკის სხვა პერსონალს, რომელიც ასრულებს ამოცანებს, რომლებიც მდრ-თან საქმიანობასთან უშუალოდ არის დაკავშირებული, უნდა გააჩნდეს სათანადო კვალიფიკაცია და უწყვეტად გადიოდეს ამ ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებული თანამედროვე მიდგომების სწავლებას.</p>	

				<p>3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ სწავლებასთან დაკავშირებული მოთხოვნები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.</p>	
		№1	8.7	<p>7. მდრ-ის განმახორციელებელმა დაწესებულებამ/ბანკმა, მდრ-თან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის დაწყებამდე, უნდა მიიღოს ბენეფიციარის წერილობითი ინფორმირებული, ნებაყოფლობითი, კონკრეტული და მკაფიო თანხმობა. თანხმობის მიღება საჭიროა მდრ-ის ყოველი ციკლის და ყოველი ინტერვენციის, პროცედურის, ქირურგიული ჩარევის და ტექნოლოგიის შემთხვევაში. ამავედროულად, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილებები უნდა იქნეს დოკუმენტირებული.</p>	
		№1	28.1	<p>1. მდრ-ის განმახორციელებელმა დაწესებულებამ/ბანკმა უნდა აწარმოოს ჩანაწერები მისი საქმიანობების შესახებ, მათ შორის, მონაცემები გესტაციური</p>	

				<p>სუროგატის, რეპროდუქციული ქსოვილების/უჯრედების ან ემბრიონების ტიპებისა და რაოდენობების შესახებ, რომლებიც იყო მოპოვებული, ტესტირებული, პრეზერვირებული, დამუშავებული, შენახული და განაწილებული, ან სხვაგვარად განკარგული, ასევე, მონაცემები მდრ-ის პროცესში გამოყენებული რეპროდუქციული უჯრედების და ემბრიონების წარმოშობისა და დანიშნულების ადგილის შესახებ.</p>	
		№1	7.1	<p>1. კომპეტენტური უწყება აფუძნებს და აწარმოებს მდრ-სთან დაკავშირებული საქმიანობის ერთიან ეროვნულ რეესტრს (შემდგომში - რეესტრი). რეესტრის ინფორმაციაზე დაშვება შეზღუდულია და განისაზღვრება ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.</p>	
		№1	7.5	<p>5. რეესტრში დაცული უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია:</p> <p>ა) მდრ-ის განმახორციელებელი</p>	

		№1	7.8	<p>დაწესებულებების/ბანკების შესახებ;</p> <p>ბ) მდრ-სთან დაკავშირებული საქმიანობების შესახებ;</p> <p>გ) მდრ-ის განხორციელებით ჩასახული ბავშვის დაბადების შესახებ;</p> <p>დ) რეპროდუქციული უჯრედების ან ემბრიონების დონორების შესახებ;</p> <p>ე) რეპროდუქციული უჯრედების ან ემბრიონების რეციპიენტის შესახებ;</p> <p>ვ) დონაციური რეპროდუქციული უჯრედების, ქსოვილების და ემბრიონების შესახებ;</p> <p>ზ) ინ-ვიტრო განაყოფიერების მონაცემების შესახებ.</p> <p>8. რეესტრის წარმოების და მართვის წესები და პირობები, აგრეთვე მინიმალური დასაცავი ინფორმაცია, დაშვებისა და უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების წესი და პროცედურა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.</p>	
--	--	----	-----	---	--

		№1	13.1	<p>1. ყველა პერსონალური მონაცემი რეპროდუქციული უჯრედების, ქსოვილებისა და ემბრიონების დონორებისა და რეციპიენტების შესახებ, გენეტიკური ინფორმაციის ჩათვლით, დამუშავებული უნდა იქნეს მხოლოდ ამ კანონის მიზნებისთვის, მათ შორის, მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად და მხოლოდ ამ კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული, უფლებამოსილი პერსონალის მიერ, ამ კანონისა და „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.</p>		
		№1	13.3	<p>3. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული მონაცემები არის კონფიდენციალური და დაცული უნდა იყოს უნებართვო წვდომისაგან. ამასთანავე, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ამ მონაცემების უსაფრთხოება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p>		
		№1	34.1	<p>1. შესაბამისი კომპეტენტური უწყება</p>		

		№1	39.1. „ა“	<p>უფლებამოსილი პირების (ინსპექტორების) მეშვეობით, ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით ახორციელებს მდრ-ის განმახორციელებელი დაწესებულებების/ბანკების მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლს და ინსპექტირებას, აგრეთვე ამ კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებული მესამე მხარის დაწესებულებების ინსპექტირების ღონისძიებებს. ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.</p> <p>1. საქართველოს მთავრობამ 2024 წლის 1 იანვრამდე მიიღოს:</p> <p>ა) ამ კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დადგენილება მდრ-თან დაკავშირებული საქმიანობის ერთიანი ეროვნული რეესტრის წარმოების და მართვის წესებისა და პირობების, აგრეთვე</p>	
--	--	----	--------------	--	--

				<p>მინიმალური დასაცავი ინფორმაციისა და უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების წესისა და პროცედურის განსაზღვრის შესახებ;</p>	
		№1	39.2. „ა“	<p>2. მინისტრმა 2024 წლის 1 იანვრამდე გამოსცეს: ა) ამ კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანება მდრ-ის ეროვნული სტანდარტების განსაზღვრის შესახებ;</p>	
		№1	39.2. „ვ“	<p>2. მინისტრმა 2024 წლის 1 იანვრამდე გამოსცეს: ვ) ამ კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანება ხარისხის სისტემასთან, მათ შორის, პერსონალთან, მოწყობილობებთან და აღჭურვილობასთან დაკავშირებული მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ;</p>	
		№1	39.2. „ზ“	<p>2. მინისტრმა 2024 წლის 1 იანვრამდე გამოსცეს: ზ) ამ კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანება</p>	

				<p>პერსონალის სწავლებასთან დაკავშირებული მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ;</p>	
		№1	39.2. „თ“	<p>2. მინისტრმა 2024 წლის 1 იანვრამდე გამოსცეს: თ) ამ კანონის 30-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანება მიკვლევადობისადმი და ეტიკეტირებისადმი მოთხოვნებისა და შესაბამისი პროცედურების განსაზღვრის შესახებ;</p>	
		№1	39.3	<p>3. საქართველოს მთავრობამ, სამინისტრომ და სხვა შესაბამისმა უწყებებმა უზრუნველყონ სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.</p>	
		№1	39.6	<p>6. შესაბამისმა სამედიცინო დაწესებულებებმა 2024 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყონ ამ კანონით, აგრეთვე ამ კანონისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადგენილ სალიცენზიო პირობებთან შესაბამისობა შესაბამისი ლიცენზიის მოპოვების გზით.</p>	

		№1	39.7	7. სამინისტრომ/სხვა შესაბამისმა უწყებებმა 2024 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყონ შესაბამისი ოპერაციული პროტოკოლების შემუშავება და დამტკიცება.		
4	ქსოვილის დაწესებულებებში მოსამზადებელი პროცედურები უნდა შეესაბამებოდეს II დანართით დადგენილ მოთხოვნებს.	№1	22	<p>1. რეპროდუქციული უჯრედებისა და ემბრიონის დონორები უნდა იყვნენ ქმედუნარიანი, ჯანმრთელი სრულწლოვნები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კანონითა და მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.</p> <p>2. კვერცხუჯრედის დონორი უნდა იყოს არანაკლებ 20 წლის და გაჩენილი ჰყავდეს სულ მცირე 1 ბავშვი.</p> <p>3. რეპროდუქციული უჯრედებისა და ემბრიონების მოპოვებამდე, მდრ-ის განმახორციელებელმა დაწესებულებამ/ბანკმა უნდა განახორციელოს დონორთა შერჩევა, ტესტირება და შეფასება.</p> <p>4. დონაციის მიზნით გაცემული ემბრიონების შემთხვევაში, მდრ-ის განმახორციელებელმა დაწესებულებამ/ბანკმა უნდა უზრუნველყოს იმ ორივე</p>	ნშ	2006/86/EC დირექტივის მე-4 მუხლში აღიშნული, დონორების შერჩევასთან, ქსოვილების ან უჯრედების მოპოვებასთან და ხარისხთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგდება როგორც კანონპროექტით, ისე მის საფუძველზე გამოცემული შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. გარდა ამისა, 2006/86/EC დირექტივის მე-4 მუხლით გათვალისწინებული საკითხები, გარდა „მედიცინის დახმარებით რეპროდუქციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა, ასახული იქნება „ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების გამოყენების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში და თანმდევ საკანონმდებლო პაკეტში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში (№07-2/278/10; 26.04.2023).

		№1	24	<p>პარტნიორის შერჩევა, ტესტირება და შეფასება, რომელთა რეპროდუქციული უჯრედებითაც შექმნილია ემბრიონი. აღნიშნული უნდა განხორციელდეს არაპარტნიორული ურთიერთობისათვის რეპროდუქციული უჯრედების დონორების შერჩევის, ტესტირებისა და შეფასების მოთხოვნების გათვალისწინებით.</p> <p>5. დონორების ტესტირებისა და შეფასების შედეგები დოკუმენტირებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, ხოლო ნებისმიერი მნიშვნელოვანი ანომალიის შესახებ უნდა ეცნობოს დონორს.</p> <p>6. დონორების შერჩევის, ტესტირებისა და შეფასების წესი, პროცედურები და სხვა კრიტერიუმები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.</p>	
				<p>1. მდრ-ის დაწესებულებამ/ბანკმა უნდა ჩამოაყალიბოს ხარისხის სისტემა და ამ სისტემის მართვის მექანიზმი, რომლებიც შესაბამისობაში იქნება „სამკურნალო საშუალებებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხარისხის</p>	

		№1	4.4	<p>ევროპული დირექტორატის სახელმძღვანელო პრინციპებთან“.</p> <p>2. ხარისხის სისტემა უნდა მოიცავდეს სულ მცირე სოპ-ებს, სახელმძღვანელო მითითებებს, სასწავლო სახელმძღვანელოებს, ფორმებს, ანგარიშებს, დონორების ჩანაწერებს, ინფორმაციას რეპროდუქციული უჯრედების, ქსოვილების და ემბრიონების საბოლოო დანიშნულების ადგილის შესახებ.</p> <p>3. ხარისხის სისტემასთან, მათ შორის, პერსონალთან, მოწყობილობებთან და აღჭურვილობასთან დაკავშირებული მოთხოვნები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.</p> <p>4. კომპეტენტური უწყება, შესაბამის სამეცნიერო/პროფესიულ ორგანოებთან კონსულტაციის საფუძველზე, განსაზღვრავს მდრ-ის ეროვნულ სტანდარტებს და უზრუნველყოფს მის მუდმივ განახლებას სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესის შესაბამისად.</p>	
--	--	----	-----	---	--

		№1	4.5	5. მდრ-ის ეროვნული სტანდარტები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.		
		№1	25.1	1. მდრ-ის დაწესებულება/ბანკი შესაბამის მდრ-სთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე.		
		№1	25.2	2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობისთვის ლიცენზიას გასცემს შესაბამისი კომპეტენტური უწყება ამ კანონის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.		
		№1	25.8	8. შესაბამისი კომპეტენტური უწყება ლიცენზიას გასცემს, თუ დაკმაყოფილებული იქნება ამ კანონით, ამ კანონისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრული სალიცენზიო პირობები. ლიცენზიაში ზუსტად უნდა იყოს		

				<p>მიითითებული მდრ-თან დაკავშირებული საქმიანობის სახეობა, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი მდრ-ის განმახორციელებელი დაწესებულება/ბანკი არის ლიცენზირებული.</p>	
		№1	31.1	<p>1. ბენეფიციარების (პოტენციური მშობლების) სპერმა, კვერცხუჯრედები და ემბრიონები შენახული უნდა იქნეს იმ ვადით, რომელზეც ბენეფიციარებს მიცემული აქვთ წერილობითი თანხმობა.</p>	
		№1	31.2	<p>2. დონორის სპერმის, კვერცხუჯრედების და ემბრიონების შენახვის ვადა განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით დონორსა და მდრ-ის განმახორციელებელ დაწესებულებას/ბანკს შორის. დონორის გარდაცვალების შემდეგ მისი სპერმა, კვერცხუჯრედები და ემბრიონები არ უნდა იყოს გამოყენებული ამის შესახებ დონორის წინასწარი თანხმობის გარეშე ამ კანონის შესაბამისად.</p>	
		№1	39.2. „ა“	<p>2. მინისტრმა 2024 წლის 1 იანვრამდე გამოსცეს:</p>	

			<p>ა) ამ კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანება მდრ-ის ეროვნული სტანდარტების განსაზღვრის შესახებ;</p>	
		№1 39.2. „ე“	<p>2. მინისტრმა 2024 წლის 1 იანვრამდე გამოსცეს:</p> <p>ე) ამ კანონის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტითა და 23-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანება დონორის/გესტაციური სუროგატის შერჩევის, ტესტირებისა და შეფასების წესის და პროცედურების, დონორისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების წესის, ინფორმირებული თანხმობის ფორმისა და შინაარსის, თანხმობაზე უარის თქმის წესისა და პირობების და უარის ფორმის დამტკიცების შესახებ;</p>	
		№1 39.2. „ვ“	<p>2. მინისტრმა 2024 წლის 1 იანვრამდე გამოსცეს:</p> <p>ვ) ამ კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანება ხარისხის სისტემასთან, მათ შორის, პერსონალთან, მოწყობილობებთან და</p>	

		№1	39.3	აღჭურვილობასთან დაკავშირებული მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ;		
		№1	39.6	3. საქართველოს მთავრობამ, სამინისტრომ და სხვა შესაბამისმა უწყებებმა უზრუნველყონ სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.		
		№1	39.7	6. შესაბამისმა სამედიცინო დაწესებულებებმა 2024 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყონ ამ კანონით, აგრეთვე ამ კანონისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადგენილ სალიცენზიო პირობებთან შესაბამისობა შესაბამისი ლიცენზიის მოპოვების გზით.		
		№1	39.7	7. სამინისტრომ/სხვა შესაბამისმა უწყებებმა 2024 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყონ შესაბამისი ოპერაციული პროტოკოლების შემუშავება და დამტკიცება.		
5	1. წევრი ქვეყნები უზრუნველყოფენ, რომ: (a) მოპოვების ორგანიზაციებს აქვთ დანერგილი პროცედურები, მოპოვებული	№1	28.1	1. მდრ-ის განმახორციელებელმა დაწესებულებამ/ბანკმა უნდა აწარმოოს ჩანაწერები მისი	ნშ	2006/86/EC დირექტივის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ნორმატიული მასალა განაწილდება როგორც კანონპროექტში, ისე სათანადო

<p>ქსოვილებისა და უჯრედების შესახებ ჩანაწერების შესანახად და ცოცხალ დონორში ქსოვილის დაწესებულებებისათვის ნებისმიერი იმ სერიოზული უარყოფითი რეაქციის შესახებ დაუყოვნებლივ შესატყობინებლად, რომელსაც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ქსოვილებისა და უჯრედების ხარისხსა და უვნებლობაზე;</p> <p>(b) ადამიანის მიმართ ქსოვილებისა და უჯრედების გამოყენებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციებს აქვთ დანერგილი პროცედურები გამოყენებული ქსოვილებისა და უჯრედების შესახებ ჩანაწერების შესანახად და ქსოვილის დაწესებულებებისათვის იმ ნებისმიერი სერიოზული უარყოფითი რეაქციის შესახებ დაუყოვნებლივ შესატყობინებლად, რომელიც გამოვლენილი იყო კლინიკური გამოყენების დროს და გამოყენების შემდეგ და რომელიც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ქსოვილებისა და უჯრედების ხარისხსა და უვნებლობასთან;</p> <p>(c) ქსოვილის დაწესებულებები, რომლებიც ახდენენ ადამიანის მიმართ გამოყენებისათვის განკუთვნილი ქსოვილისა და უჯრედების დისტრიბუციას, წარუდგენენ ინფორმაციას ადამიანის მიმართ</p>	<p>№1 29</p>	<p>საკმიანობების შესახებ, მათ შორის, მონაცემები გესტაციური სუროგატის, რეპროდუქციული ქსოვილების/უჯრედების ან ემბრიონების ტიპებისა და რაოდენობების შესახებ, რომლებიც იყო მოპოვებული, ტესტირებული, პრეზერვირებული, დამუშავებული, შენახული და განაწილებული, ან სხვაგვარად განკარგული, ასევე, მონაცემები მდრ-ის პროცესში გამოყენებული რეპროდუქციული უჯრედების და ემბრიონების წარმოშობისა და დანიშნულების ადგილის შესახებ.</p> <p>1. მდრ-ის განმახორციელებელ დაწესებულებაში/ბანკში უნდა არსებობდეს იმ სერიოზული გვერდითი მოვლენებისა და სერიოზული გვერდითი რეაქციების მონიტორინგის, გამოკვლევისა და ანგარიშგების ეფექტური და დამოწმებული სისტემა, რომელთაც შესაძლებელია გავლენა მოახდინონ რეპროდუქციული ქსოვილებისა და უჯრედების და ემბრიონების ხარისხსა და უსაფრთხოებაზე და რომლებიც</p>	<p>კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში. გარდა ამისა, 2006/86/EC დირექტივის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საკითხები, გარდა „მედიცინის დახმარებით რეპროდუქციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა, ასახული იქნება „ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების გამოყენების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში და თანმდევ საკანონმდებლო პაკეტში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში (№07-2/278/10; 26.04.2023).</p>
--	--------------	---	--

<p>ქსოვილებისა და უჯრედების გამოყენებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას იმასთან დაკავშირებით, აღნიშნულმა ორგანიზაციამ როგორ უნდა შეატყობინოს სერიოზული უარყოფითი რეაქციები, როგორც მითითებულია (b) პუნქტში.</p> <p>2. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ქსოვილის დაწესებულებებს:</p> <p>(a) დანერგილი აქვთ პროცედურები კომპეტენტური ორგანოსათვის სერიოზული უარყოფითი რეაქციების საექვო შემთხვევების შესახებ რელევანტური ხელმისაწვდომი ინფორმაციის დაუყოვნებლივ მისაწოდებლად, როგორც აღნიშნული მითითებულია 1(a) და (b) პარაგრაფში;</p> <p>(b) დანერგილი აქვთ პროცედურები კომპეტენტური ორგანოსათვის [რეაქციის გამომწვევი] მიზეზის გამოძიების დასკვნებისა და საბოლოო შედეგების შესახებ [ინფორმაციის] შესატყობინებლად.</p> <p>3. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ:</p> <p>(a) 2004/23/EC დირექტივის მე-17 მუხლში მითითებული პასუხისმგებელი პირი შეატყობინებს კომპეტენტურ ორგანოს</p>		<p>შესაძლებელია უკავშირდებოდეს მათ მოპოვებას, ტესტირებას, დამუშავებას, შენახვასა და განაწილებას, ასევე, ნებისმიერი სერიოზული გვერდითი რეაქციებისათვის, რომელიც გამოვლინდება ქსოვილების/უჯრედების კლინიკური გამოყენების დროს ან მის შემდეგ, და რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს რეპროდუქციული ქსოვილების და უჯრედების და ემბრიონების ხარისხსა და უსაფრთხოებასთან.</p> <p>2. მდრ-ის განმახორციელებელ დაწესებულებაში/ბანკში უნდა არსებობდეს ზუსტი, სწრაფი და დამოწმებული პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს მოხმარებიდან იმ რეპროდუქციული უჯრედების, ქსოვილების ან ემბრიონების ამოღებას, რომელთაც უკვე გამოიწვიეს ან შეიძლება გამოიწვიონ სერიოზული გვერდითი მოვლენა ან სერიოზული გვერდითი რეაქცია.</p> <p>3. ყველა პირი ან ორგანიზაცია, რომელიც იყენებს რეპროდუქციულ უჯრედებს და ემბრიონებს, ვალდებულია,</p>	
---	--	---	--

<p>ნოტიფიკაციაში არსებულ ინფორმაციას, რომელიც მოცემულია III დანართის A ნაწილში;</p> <p>(b) ქსოვილის დაწესებულებები კომპეტენტურ ორგანოს აცნობებენ ზომებს, რომლებიც მიღებულია იმ სხვა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ქსოვილებისა და უჯრედების მიმართ, რომლის დისტრიბუციაც მოხდა ადამიანის მიმართ გამოყენების მიზნით;</p> <p>(c) ქსოვილის დაწესებულებები გამოძიების დასრულების შესახებ აცნობებენ კომპეტენტურ ორგანოს, მიაწვდიან რა სულ მცირე III დანართის B ნაწილში მოცემულ ინფორმაციას.</p>		<p>აცნობოს ყველა შესაბამისი ინფორმაცია იმ დაწესებულებებს, რომლებიც ჩართულნი არიან რეპროდუქციული უჯრედების და ემბრიონების დონაციაში, მოპოვებაში, ტესტირებაში, დამუშავებაში, შენახვასა და განაწილებაში, რათა ხელი შეუწყონ მათ მიკვლევადობას და უზრუნველყონ ხარისხისა და უსაფრთხოების კონტროლი.</p> <p>4. მდრ-ის განმახორციელებელმა დაწესებულებამ/ბანკმა დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს კომპეტენტურ უწყებას ნებისმიერი სერიოზული გვერდითი მოვლენის და სერიოზული გვერდითი რეაქციის შესახებ. ამასთანავე, დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, რათა შემცირდეს სერიოზული გვერდითი მოვლენით და სერიოზული გვერდითი რეაქციით გამოწვეული ზიანი, რის შესახებაც ასევე უნდა აცნობოს კომპეტენტურ უწყებას.</p> <p>5. მდრ-ის განმახორციელებელმა დაწესებულებამ/ბანკმა კომპეტენტურ უწყებას უნდა</p>	
---	--	---	--

				<p>წარუდგინოს ანგარიში სათანადო ანალიზით სერიოზული გვერდითი მოვლენის და სერიოზული გვერდითი რეაქციის მიზეზის და შედეგის თაობაზე.</p> <p>6. სერიოზული გვერდითი მოვლენების და სერიოზული გვერდითი რეაქციების მონიტორინგის, გამოკვლევის, შეტყობინებისა და დოკუმენტირების წესი განისაზღვრება ამ კანონის 30-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.</p>	
		№1	30.6	<p>6. დეტალური მოთხოვნები მიკვლევადობისა და ეტიკეტირებისადმი, ასევე, შესაბამისი პროცედურები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.</p>	
		№1	27.3. „ე“	<p>3. პასუხისმგებელი პირის ვალდებულებაა:</p> <p>ე) მდრ-ის განმახორციელებელი დაწესებულების/ბანკის საქმიანობების შესახებ ჩანაწერების წარმოება/შენახვა, ყოველწლიური ანგარიშგება,</p>	

		№1	27.3. „ვ“	<p>ასევე, კომპეტენტური უწყების მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, მდრ-თან დაკავშირებული საქმიანობების თაობაზე მისთვის ნებისმიერი სხვა ინფორმაციის მიწოდება;</p> <p>3. პასუხისმგებელი პირის ვალდებულებაა: ვ) სერიოზული გვერდითი მოვლენების და რეაქციების მონიტორინგი, აღრიცხვა და ანგარიშგება;</p>		
		№1	39.2. „თ“	<p>2. მინისტრმა 2024 წლის 1 იანვრამდე გამოსცეს: თ) ამ კანონის 30-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანება მიკვლევადობისადმი და ეტიკეტირებისადმი მოთხოვნებისა და შესაბამისი პროცედურების განსაზღვრის შესახებ;</p>		
6	<p>1. წევრი ქვეყნები უზრუნველყოფენ, რომ:</p> <p>a) მოპოვების ორგანიზაციებსა და ქსოვილის დაწესებულებებს დანერგილი აქვთ პროცედურები ჩანაწერების შესანახად და ქსოვილის დაწესებულებებისათვის იმ ნებისმიერი სერიოზული უარყოფითი მოვლენის</p>	№1	28.1	<p>1. მდრ-ის განმახორციელებელმა დაწესებულებამ/ბანკმა უნდა აწარმოოს ჩანაწერები მისი საქმიანობების შესახებ, მათ შორის, მონაცემები გესტაციური სუროგატის, რეპროდუქციული ქსოვილების/უჯრედების ან</p>	ნშ	<p>2006/86/EC დირექტივის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ნორმატიული მასალა განაწილდება როგორც კანონპროექტში, ისე სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში. გარდა ამისა, 2006/86/EC დირექტივის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საკითხები, გარდა „მედიცინის</p>

<p>შესახებ დაუყოვნებლივ შესატყობინებლად, რომელსაც ადგილი აქვს მოპოვების დროს და შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების ხარისხს ან/და უვნებლობაზე;</p> <p>b) ადამიანის მიმართ ქსოვილებისა და უჯრედების გამოყენებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციებს დანერგილი აქვთ პროცედურები ქსოვილის დაწესებულებებისათვის იმ ნებისმიერი სერიოზული უარყოფითი რეაქციის შესახებ დაუყოვნებლივ შესატყობინებლად, რომელსაც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ქსოვილებისა და უჯრედების ხარისხსა და უვნებლობაზე;</p> <p>c) ქსოვილის დაწესებულებები ადამიანის მიმართ გამოყენებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციებს აწვდიან ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა აცნობოს აღნიშნულმა ორგანიზაციამ მათ იმ სერიოზული უარყოფითი მოვლენების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ ქსოვილებისა და უჯრედების ხარისხსა და უვნებლობაზე.</p> <p>2. დამხმარე რეპროდუქციის დროს, გამეტას ან ემბრიონის ნებისმიერი არასწორი იდენტიფიკაცია ან აღრევა მიჩნეული უნდა იყოს სერიოზულ</p>	<p>№1 29</p>	<p>ემბრიონების ტიპებისა და რაოდენობების შესახებ, რომლებიც იყო მოპოვებული, ტესტირებული, პრეზერვირებული, დამუშავებული, შენახული და განაწილებული, ან სხვაგვარად განკარგული, ასევე, მონაცემები მდრ-ის პროცესში გამოყენებული რეპროდუქციული უჯრედების და ემბრიონების წარმოშობისა და დანიშნულების ადგილის შესახებ.</p> <p>1. მდრ-ის განმახორციელებელ დაწესებულებაში/ბანკში უნდა არსებობდეს იმ სერიოზული გვერდითი მოვლენებისა და სერიოზული გვერდითი რეაქციების მონიტორინგის, გამოკვლევისა და ანგარიშგების ეფექტური და დამოწმებული სისტემა, რომელთაც შესაძლებელია გავლენა მოახდინონ რეპროდუქციული ქსოვილებისა და უჯრედების და ემბრიონების ხარისხსა და უსაფრთხოებაზე და რომლებიც შესაძლებელია უკავშირდებოდეს მათ მოპოვებას, ტესტირებას, დამუშავებას, შენახვასა და განაწილებას, ასევე, ნებისმიერი</p>	<p>დახმარებით რეპროდუქციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა, ასახული იქნება „ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების გამოყენების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში და თანმდევ საკანონმდებლო პაკეტში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში (№07-2/278/10; 26.04.2023).</p>
--	--------------	--	---

